DOI.org/10.52340/PUTK.2024.28.24

ქართველური ენები და ნოსტრატული მაკრო-ოჯახის ჰიპოთეზა

KARTVELIAN LANGUAGES AND NOSTRATIC MACROFAMILY HYPOTHESIS

მერაბ ჩუხუა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Merab Chukhua
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbiisi, Georgia

ABSTRACT

The theory of Nostratic languages cannot be considered proven at this stage, as unanswered questions have accumulated regarding the internal kinship of Kartvelian and even classical Nostratic languages; Since among language families there is no presented and established system of sound correspondences for the specified macro family. And the so-called already presented Sound correspondences are neither regular nor structural; Moreover, we cannot speak about its system. True, certain similarities are really realized in each interconnected roots, but such coincidences can be explained not by kinship, but by accidental similarities or, at least, root borrowings. In addition, it would be important and informative to take into account the data that relate to the problems of reconstruction of the proto residence and the protoculture of ethnic groups that speak the Kartvelian languages. This question was not considered in the global context within the hypothesis of Kartvelian languages and Nostratic macrofamily.

საკვანძო სიტყვები: ენათა ნათესაობა, ნოსტრატული მაკრო-ოჯახი, ისტორიულ-შედარებითი ლინგვისტიკა.
Keywords: Linguistic affinity, Nostratic macrofamily, Historical-comparative linguistics.

შესავალი

ქართველური ენა-კილოები, იგივე სამხრეთ კავკასიური, ან იბერიული ენები სამხრეთ კავკასიის ძირძველ ენათა ჯგუფს წარმოადგენენ, რომელზეც ძირითადად საქართველოს რესპუბლიკაში მეტყველებენ. ცნობილი თვალსაზრისით, იბერიულ-კავკასიური ლინგვისტიკის წარმომადგენლები (მათ შორის ამ წერილის ავტორიც) ქართველურ ენათა ჯგუფს გენეტიკურად აწყვილებს კავკასიის ავტოქთონი მოსახლეობის

ენებთან, როგორიცაა დაღესტნური (იგივე ალბანური), აფხაზურ-ადიღური (იგივე სინდური), ნახური (ჰურიტულ-ურარტულის ჩათვლით) ენები. არსებობს განსხვავებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ქართველურ ენებს არავითარი კავშირი არა აქვს დედამიწის არცერთ სხვა ენობრივ ოჯახთან, ან ერთიანდება მონათესავე ოჯახთა დიდ ენობრივ ფილუმებში.

უცხოეთში კარგა ხანია ქართველურის ჩართვა განუზრახავთ ე.წ. ნოსტრატულ ენათა მაკრო-ოჯახში. ნოსტრატოლოგიაში, წევრთა ჩართულობიდან გამომდინარე, თეორიულად სავარაუდო მაკრო-ოჯახში შემოთავაზებული ენობრივი ოჯახების რაოდენობა განსხვავდება თვით ავტორების მიხედვითაც კი, მაგრამ, ამასთან, ყველა ნოსტრატიკოსი თანხმდება ენათა ოჯახების საერთო ბირთვზე. ამიტომაც აზრთა სხვადასხვაობა ჩნდება მხოლოდ დამატებითი ოჯახების ჩართვასთან დაკავშირებით.

მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია კრიტიკული ანალიზის, ისტორიულ-შედარებითი და შეპირისპირების მეთოდები.

მსჯელობა

ლინგვისტ-ნოსტრატიკოსებს შორის საყოველთაოდაა მიღებული სამი ენობრივი ჯგუფი (ოჯახი): ინდოევროპული, ურალური და ალთაური; ალთაურ ენათა ოჯახის მართებულობა, მიუხედავად იმისა, რომ თავად მისი შედგენილობაა საკამათო, ნოსტრატიკოსებისთვის მიჩნეულია ნოსტრატული მაკრო-ოჯახის სრულფასოვან წევრად. თითქმის ყველა სქემა ასევე მოიცავს ქართველურ და დრავიდულ ენათა ოჯახებსაც (Mallory... 2006).

ნიმუშად ილიჩ-სვიჩის ნაშრომები რომ ავიღოთ, იგი ეფუძნებოდა 1960-იან წლებში მიღებულ უამრავ მნიშვნელოვან მიღწევას სხვადასხვა ენათა ოჯახების პრეისტორიის შესწავლაში; წინასწარ შემუშავებული მეთოდიკის შესაბამისად, ავტორი ერთმანეთს უდარებდა ნოსტრატული მაკრო-ოჯახის თითოეული ფუძეების აწ უკვე რეკონსტრუირებულ პროტოფორმებს (კომპარატივისტიკაში დამოწმებულ ფორმებს), და არა სახელდახელოდ მოგვიანებით აღდგენილ ერთეულებს. მან ლინგვისტურ საზოგადოებას შესთავაზა სისტემური ფონეტიკური (ფონემური) შესატყვისობები სხვადასხვა ენებს შორის; მაგალითად, პროტოინდოევროპულ *t, *d, *dh ფონემებს, მისი აზრით, შეესაბამება პროტოქართველური *t’, *t, *d, ანუ ტ თ დ. გარდა ამისა, ილიჩ-სვიჩი აგრძელებდა ექვსივე პროტოენის ერთდროულად (პარალელურ რეჟიმში) შედარებას და არა მხოლოდ ორის, ვინაიდან ექვსივე ან უმეტეს ენათა ოჯახებში აღმოჩენილ პარალელებს აქვს ბევრად უფრო მეტი ალბათობა იმისა, რომ კვალიფიცირდეს მონათესავედ (და, შესაბამისად, იგი წარმოადგენდა საერთო გენეტიკურ ინვენტარს), ვიდრე იმ ფორმებს, რომლებსაც წარმოაჩენენ მხოლოდ ორი ან სამი ენობრივი ოჯახი (Иллич-Свитыч 1971; 1976).

შუმერული და ეტრუსკული ენები, რომლებიც ჩვეულებრივ განიხილება, როგორც იზოლანტი ენები, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ასევე ნოსტრატიკულ ენებად ითვლება (Dolgopolsky 2008; Bomhard 2018). თუმცა, სხვები ერთსაც და მეორესაც თვლიან სხვა მაკრო-ოჯახის წევრად, რომელსაც დენე-კავკასიური ჰქვია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პედერსენის, ილიჩ-სვიჩისა და დოლგოპოლსკის შემდეგ შემოთავაზებული თეორიების უმრავლესობა მოიცავდა აფროაზიურსაც, თუმცა ჯოზეფ გრინბერგისა და სხვების კრიტიკა, 1980-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ამ პოზიციის ხელახალ შეფასება-რეინტერპრეტაციებს გვთავაზობდა. ამდენად, 1987 წელს სამეცნიერო საზოგადოებას ჯოზეფ გრინბერგმა წარუდგინა ნოსტრატული მაკრო-ოჯახის მისებური ვარიანტი, რომელსაც ავტორმა ევრაზიული უწოდა (Greenberg 1987). იგი მოიცავდა იმავე „ევრო-ალთაურ“ ბირთვს (ინდოევროპული, ურალური და ალთაური), მაგრამ გამორიცხავდა ზემოთ ჩამოთვლილთაგან ზოგიერთ ოჯახს, განსაკუთრებით კი აფროაზიურს.

პარალელურად, დაახლოებით ამავე პერიოდში, რუსმა ნოსტრა-ტიკოსებმა (კერძოდ კი სერგეი სტაროსტინმა) შექმნეს ნოსტრატიკის განახლებული ვერსია, რომელიც ოდნავ უფრო ფართო მასშტაბისა იყო, ვიდრე ჯ. გრინბერგის დაჯგუფება (Starostin 1991; Starostin 2002a). სერგეი სტაროსტინის სკოლამ წარმოდგენილ (განახლებულ) პარადიგმაში ხელახლა შემოიტანა აფროაზიური უფრო ფართოდ განსაზღვრულ ნოსტრატიკაში, თუმცა პარადიგმაში უცვლელად ტოვებდა ტერმინს ევრაზიული, შედარებით ვიწრო ქვეჯგუფის აღსანიშნავად; სქემაში იგი მოიცავდა მაკრო-ოჯახის დანარჩენ ნაწილს. ამრიგად, შემოთავაზებული წინადადებები ძირითადად განსხვავდებოდა პარადიგმაში ქართველურ და დრავიდულ ენათა ადგილის ზუსტი განლაგების კუთხით.

2000-იანი წლების დასაწყისიდან ნოსტრატული ჰიპოთეზის მომხრეებს შორის კონსენსუსი გაჩნდა. ჯ. გრინბერგი ძირითადად ეთანხმებოდა ნოსტრატიკულ კონცეფციას, თუმცა მან ხაზი გაუსვა ღრმა შიდა განხეთქილებას, რომელიც, განსხვავებულ მონაცემთა საფუძველზე, იკვეთებოდა მაკრო-ოჯახის ჩრდილოეთ „იარუსსა“ (მისი ევრაზიული) და სამხრეთ „იარუსს“ (ძირითადად აფროაზიურ და დრავიდულს) შორის. ჯ. გრინბერგის მიხედვით, ევრაზიული და ამერინდი ენები ქმნიან გენეტიკურ კვანძს, რომლებიც უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ვიდრე რომელიმე მათგანი „ძველი სამყაროს სხვა ოჯახებთან“ (Greenberg 2000: 2).

დასავლეთის ლინგვისტურ პრაქტიკაში არსებობს მთელი რიგი ჰიპოთეზები, რომლის მიხედვითაც აქვე ერთიანდება ე. წ. ნოსტრატიკა კიდევ უფრო ფართო ლინგვისტურ „მეგაფილუმში“, რომელსაც ზოგჯერ ბორეანულს უწოდებენ. ეს უკანასკნელი ასევე მოიცავს მინიმუმ დენე-კავკასიურ და, შესაძლოა, ამერინდსა და ავსტრალიურ სუპერ-ოჯახებს (ზე-ოჯახებს). აბრევიატურა SCAN გამოიყენება გაცილებით უფრო დიდი მაკრო ენობრივი ოჯახისათვის, რომელიც არქაულ ეტაპებზე მოიცავდა სინო-კავკასიურს, ამერინდს და ნოსტრატულს (Pinker 1994).

ამერიკელი ნოსტრატიკოსი ალან ბომჰარდი ევრაზიულს განიხილავს ნოსტრატიკის განშტოებად სხვა ჯგუფებთან ერთად. ავტორი ცნობილ სქემებში ამატებს: ქართველურს, აფროაზიურს და ელამო-დრავიდულს (Bomhard 2018). ამის ანალოგიურად, გ. სტაროსტინი გვთავაზობს სამმხრივ ზოგად დაჯგუფებას: იგი თვლის აფროაზიურს, ნოსტრატულს და ელამურს, როგორც უხეშად თანაბარ მანძილზე და უფრო მჭიდრო კავშირში მყოფს ერთმანეთთან, ვიდრე რომელიმე სხვა ფილუმურ მონაცემებთან (Starostin 2002b).

კიდევ ერთი ენობრივი იზოლანტი, ელამური ენა, ასევე ფიგურირებს ნოსტრატულ კლასიფიკაციაში. ის ხშირად ჯგუფდება დრავიდულთან, როგორც ელამურ-დრავიდულის წევრი ენა. მიუხედავად ელამური ენის გენეალოგიური კლასიფიკაციის გაურკვევლობისა, ე. წ. იახონტოვის სიის სიტყვებიდან, ცნობილ შესადარებელ ლექსიკურ ერთეულთა სიმცირის მიუხედავად, თითქოს ჩანს, რომ ელამიტურისთვის გამოვლენილი კოგნატები საკმარისი მტკიცებულებებია, რათა მხარდაჭერილი იყოს ელამურის გარენათესაობის სამტკიცებლად ზოგიერთ დღეისათვის უკვე დამოუკიდებელ ერთეულებად გამოყოფილ მაკრო-ოჯახთან.

განსაკუთრებით საყურადღებო ის ფაქტია, რომ ელამურს, როგორც ჩანს, 100-სიტყვიან სვოდეშის სიაში მნიშვნელოვნად ნაკლები იზოგლოსები აქვს სინო-კავკასიურთან (7-8 პლუსი), ვიდრე ნოსტრატიკურს (14-15 პლუსი) ან აფროაზიურს (15-16 პლუსი). ეს ყოველივე კი ნიშნავს, რომ სამივე მაკრო-ოჯახის ურთიერთდაკავშირების შემთხვევაში, სინო-კავკასიური, რომელშიც ქართველური რატომღაც გამოირიცხება, უნდა ჩაითვალოს უფრო დაშორებულ წევრად სხვა დანარჩენი ორისაგან (Bengtson... 2011).

რაც შეეხება ნოსტრატულ და აფროაზიურ პარალელებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საერთო პროცედურის უაღრესად მიახლოებითი სანდოობის გათვალისწინებით, თითქმის შეუძლებელია იმის დადგენა, ორი ოჯახიდან რომელი უფრო ახლოსაა ელამიტურთან. ლექსიკოსტატისტიკური შედეგებით აფროაზიური, როგორც ჩანს, გარკვეულწილად უკეთეს „ულტრა სტაბილურ» პარალელებს იძლევა იახონტოვის 35-სიტყვიან სიაში და ისეთი ექსკლუზიური აფროაზიურ-ელამიტური შესატყვისები, როგორიცაა „სისხლი», „მიწა“ და „რქა“, ძალიან პერსპექტიულად გამოიყურება. მეორეს მხრივ, უმეტეს შემთხვევაში ელამური ფორმები ემთხვევა ერთი, მაქსიმუმ ორი აფროაზიური ქვეგანშტოების გარკვეულ პროტოფორმას, რაც არ გვაძლევს შესაძლებლობას დავაფიქსიროთ ზუსტი შესატყვისი პროტო-აფროაზიურთან; ამიტომაც გიორგი სტაროსტინი სპეციალურ წერილში ელამურის ადგილს აღწერს, როგორც „ხიდს“ ნოსტრატულსა და აფროაზიურს შორის. ამდენად, ელამური ენა შესაძლოა გლობალური „ევრაზიული“ ან „ბორეანული“ ოჯახის ძველი ქვეშტოების ერთადერთი ნარჩენია, რომელიც ასევე მოიცავს ნოსტრატულ და აფროაზიურ ენებს. ეს ხსნის ლექსიკურ და მორფოლოგიურ პარალელებს, გამოვლენილს ელამურ-ნოსტრატულ-აფრაზიურ ენებს შორის. სამუშაო ჰიპოთეზის ფარგლებში, წარმოდგენილი ვარაუდი ავტორს გამოსავლის ძიების გზაზე რაციონალურად ეჩვენება არსებული გენეალოგიური სიტუაციის წარმატებით დასაძლევად (Starostin 2002b).

საყურადღებოა, რომ, ქართველურ ენა-კილოებთან ერთად, პირველად ლინგვისტური კავკასიოლოგიის სინამდვილეში საგანგებო სტატია (On The Afinitiy Of Nostratic And Nakh Languages) მიეძღვნა ენათა ნოსტრატულ მაკრო-ოჯახში ნახურ-ნოსტრატული ენობრივი შეხვედრების პრობლემას. ავტორთა მტკიცებით, სტატიაში შეიძლება დაზუსტდეს ნოსტრატული ოჯახის საზღვრების საკითხი, ანუ ნოსტრატული მაკროსისტემის შემადგენელ ენათა ჯგუფები. ნოსტრატიკაში შეტანილი ნახური ენების (ჩეჩნური, ინგუშური, ბაცბური) მონაცემები თითქოს ნათელს ჰფენს ნოსტრატული მაკრო-ოჯახის ზოგადი პრობლემის ზოგიერთ

ასპექტს. ნაშრომში წარმოდგენილია ძირეული მორფემების მსგავსება, რეგულარული ბგერათშესატყვისობები და ა.შ., რაც თითქოს აფართოვებს ნოსტრატული მაკრო-ოჯახის საზღვრებს. ავტორები დარწმუნებული არიან, რომ ნახური ენების მონაცემები შესაძლოა დაეხმაროს ნოსტრატული ენების დივერგენციის ქრონოლოგიური სიღრმის საკითხის გადაჭრას. უნდა აღინიშნოს, სტატიაში შედარებულია 50-მდე ნოსტრატული ძირი ნახურ ანალოგებთან. საანალიზოდ წარმოდგენილი შესაბამისი ძირეული მორფემები ნოსტრატურ და ნახურ ენებში ასახავს სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთან, ბუნებრივ მოვლენებთან, სივრცით მიმართებებთან, ვერბალურ პროცესებთან, ნაცვალსახელურ ძირებთან. ფონემური შეპირისპირებები, ისევე როგორც ძირეული მორფემების მსგავსება, რაც რეგულარულია, ავტორებს ავარაუდებინებს, რომ კავკასიურ ენათა ნახური ჯგუფი შეიძლება შევიდეს ნოსტრატიკულ მაკრო-ოჯახში და ამით კიდევ უფრო გაფართოვდეს ნოსტრატიკის შესაძლო ლინგვისტური საზღვრები (Abdulvahabova... 2019).

ჩვენ კი ვფიქრობთ, მართალია, ქართველურის ჩრდილო-კავკასიურ ოჯახთან ან სხვა ენებთან ნათესაური კავშირი საბოლოოდ დადგენილად ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, მიუხედავად იმისა,რომ ზოგი ლინგვისტის მოსაზრებით, ქართველური ენების ოჯახი (ახლა უკვე ნახურ ჯგუფთან ერთად) შესაძლოა უფრო ვრცელი ნოსტრატული ენების ოჯახის ნაწილი იყოს, ამგვარი ნათესაობა საკამათოა, ვინაიდან ძირითადად შემთხვევითი და უსაფუძვლო მსგავსებებია არგუმენტად მოტანილი, ან სულაც ნებისმიერი მსგავსება სხვა ლინგვისტურ წარმონაქმნთან შესაძლოა ტერიტორიული სიახლოვის, ენობრივი კონტაქტების და ურთიერთ-გავლენის (არეალური თანაარსებობის) შედეგი აღმოჩნდეს. ორმხრივი სესხების პროცესი ლინგვისტიკაში მნიშვნელოვანია და აპრობირებულია თვით ფუძეენათა დონეზეც კი. წინარეისტორიულ არეალურ კონტაქტებს სავსებით შესაძლებელია, რომ გარკვეულ გრამატიკულ მოვლენებზე (თვით მარკერებზეც) მოეხდინა ზეგავლენა; ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ნომინატიური კონსტრუქციის გაჩენა გარდამავალი ზმნის სუბიექტის შემთხვევა ქართველურ სინამდვილეში, როცა, მოსალოდნელი ერგატიულის ნაცვლად, პირველ სერიაში სახელობითი ბრუნვაა დომინანტი (არქაულ ვითარებას მხოლოდ ორი ზმნა – **იცის/უწყის** მან ინახავს ქართულში), ეს კი საერთოქართველურზე არაკავკასიური (არაერგატიული) წყობის ენათა (ინდოევროპულ ენათა – როგავა 1975: 273-280) არეალურ ზეგავლენად უნდა იყოს კვალიფიცირებული არქაული პერიოდიდანვე.

ასევე დადგენილია გარკვეული ქართველურ-ინდოევროპული ლექსიკური კავშირები (შეხვედრები) ფუძეენათა დონეზეც (Гамкрелидзе... 1984: 870-871), რაც, ცხადია, მიეწერება უძველეს ენობრივ კონტაქტებს პროტოქართველური და პროტოინდოევროპული მოდგმის ხალხებს შორის პრეისტორიულ პერიოდებში.

დასკვნები

ქართველურ-ნოსტრატულ მიმართებაზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნოსტრატულ ენათა მაკრო-ოჯახის თეორია ამ ეტაპზე დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება. არათუ ქართველური, თვით კლასიკური ნოსტრატული ენების მიმართაც პასუხგაუცემელი კითხვებია

დაგროვილი; ვინაიდან არ არსებობს მკვეთრად დაძებნილ-დადგენილი ბგერათშესატყვისობათა სისტემა აღნიშნული მაკრო-ოჯახისთვის სავარაუდო ენათა ოჯახებს შორის. ხოლო აწ უკვე წარმოდგენილი ე.წ. შესატყვისობანი არ ჩანს არც რეგულარული და არც კანონზომიერი; მით უფრო ვერ ვისაუბრებთ მის სისტემურობაზე. მართალია, თითო-ოროლა ურთიერთდაკავშირებულ ძირში მართლაც რეალიზდება გარკვეული მსგავსებები, მაგრამ ამგვარი დამთხვევები შეიძლება აიხსნას არა ენობრივი ნათესაობით, არამედ შემთხვევითი მსგავსებით, ან სულაც საანალიზო ძირ-ფუძეთა სესხებით. გარდა ამისა, მსგავს კონტექსტში მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი იქნებოდა იმ მონაცემთა გათვალისწინება, რაც ქართველურ ენა-კილოთა მატარებელი ეთნიკური ჯგუფების პირველსაცხოვრისისა და პროტოკულტურის რეკონსტრუქციის პრობლემებს შეეხება. ეს საკითხი გლობალურ ჭრილში არც დასმულა ქართველური და ნოსტრატული მაკრო-ოჯახის ჰიპოთეზის ფარგლებში.

და კიდევ, თუ ზემოთ ჩამოთვლილ თვალსაზრისთა ავტორებს დავახასიათებთ, კარგად გამოჩნდება, რომ ქართველური (იბერიულ-კავკასიური) ენების გენეტიკური ნათესაობის პრობლემას ნოსტრატულ ენებთან იკვლევენ ძირითადად ისეთი ლინგვისტები, რომლებიც პრაქტიკულად არ ფლობენ არცერთ კავკასიურ ენას (ფოჩხუა 1972) და, უფრო მეტიც, მკაცრი შეფასებით, არც არიან ამ ენების სპეციალისტები, არა აქვთ და ვერც ექნებოდათ სიღრმისეული ხედვა ქართველურ ენათა ეტიმოლოგიის, სტრუქტურისა და ისტორიის მიმართ. აქვე მიდგომის პრობლემაც ჩნდება, თუ ქართველურის, დრავიდულის, ინდოევროპულის და ა. შ ენათა ნათესაობა დასაშვებია, მაშინ კითხვა ისმის: – რატომ არ შეიძლება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთიანად შემოყვანა დასახელებულ მაკროოჯახში? პასუხი არ ჩანს. გვეჩვენება, რომ მიდგომა მიკერძოებითია. მთლიანად იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის განხილვა ნოსტრატულ კონტექსტში მით უფრო იქნებოდა უპრიანი, რომ იბერიულ-კავკასიურ თეორიას შესწავლის მეტად ხანგრძლივი ისტორია და ლინგვისტურად აუცილებელი (სარწმუნო/დამაჯერებელი) არგუმენტაცია მოეპოვება.

სამომავლოდ კი რელევანტურად გვესახება ქართველურ-კავკასიური იზოგლოსებისა და იზომორფების აღწერა-გამოვლენის პერსპექტივა, რაც კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა ჩვენებებით არის გამყარებული. ასე რომ, ლინგვისტურ ქართველოლოგიას (კავკასიოლოგიას) სწორედ ამ კუთხით ეკუთვნის მეტი კვლევა და შემაჯამებელი ნაშრომების შექმნა, რის ნიმუშებად გამოდგებოდა ბოლო პერიოდში შექმნილი რამდენიმე მონოგრაფია (ჩუხუა 2018; ჩუხუა... 2023; Chukhua 2019; Чухуа 2021).

დამოწმებული ლიტერატურა

როგავა 1975: როგავა გ., ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში. იკეწ, II, თბილისი, 1975.

ფოჩხუა 1972: ფოჩხუა ბ., ქართული სიტყვები „ნოსტრატულ“ ლექსიკონში; ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1972.

ჩუხუა 2018: ჩუხუა მ., ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2018.
ჩუხუა… 2023: ჩუხუა მ., ანთელავა ნ., მაგომედოვი მ., კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები. 1. ავტოქთონი მოსახლეობა, თბილისი, 2023.
Abdulvahabova... 2019: Abdulvahabova L. B., Navrazova H. B., Ovhadov M. R., Vagapov A. D., On The Afinitiy Of Nostratic And Nakh Languages. – Languages, 2019. https://www. europeanproceedings.com
Bengtson... 2011: Bengtson J., Starostin G., The Dene-Sino-Caucasian hypothesis: state of the art and perspectives. 2011, PDF.
Bomhard 2018: Bomhard A., Comprehensive Introduction to Nostratic Comparative Linguistics (3rd edition), 2018.
Chukhua 2019: Chukhua M., Georgian-Circassian-Apkhazian Etymological Dictionary. Tbilisi, 2019.
Greenberg 1987: Greenberg J. H., The Indo-European First and Second Person Pronouns in the Perspective of Eurasiatic, Especially Chukotkan, Anthropological Linguistics Vol. 39, №2 (1987).
Greenberg 2000: Greenberg J. H., Indo-European and Its Closest Relatives: The Eurasiatic Language Family. 1: Grammar. Stanford: Stanford University Press. 2000.
Dolgopolsky 2008: Dolgopolsky Aharon, Nostratic Dictionary, 2008. PDF.
Mallory... 2006: Mallory J. P., Adams D. Q., The Oxford Introduction to Proto-Indo-European & the Proto-Indo-European World (Oxford Linguistics). Oxford University Press, 2006.
Pinker 1994: Pinker St., The Language Instinct: How the Mind Creates Language. William Morrow and Company: New York, 1994.
Starostin 1991: Starostin S., On the Hypothesis of a Genetic Connection between the Sino-Tibetan Languages and the Yeniseian and North Caucasian Languages. Dene-Sino-Caucasian Languages 12-41, 1991.
Starostin 2002: Starostin S., North Caucasian Morphology. Ms. 2002.
Starostin 2002a: Starostin S.. A response to Alexander Vovin's Criticism of the Sino-Caucasian Theory. - Journal of Chinese Linguistics, 30:1.142-153. 2002.
Starostin 2002b: Starostin S., On the Genetic Affiliation of the Elamite Language - https://www.semanticscholar.org› [PDF]; ob. ასევე in Mother Tongue, vol. VII, 2002.
Гамкрелидзе... 1984: Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы (Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры). С предисловием Р. Якобсона; Тбилиси, , II, 1984.
Иллич-Свитыч 1971: Иллич-Свитыч В. М., Опыт сравнения Ностратических языков (Семитохамитский, картвельский, индоевропейский, уральский, дравидийский, алтайский); Словарь (b-ḳ) М., «Наука», XXXVI (Инст. славяноведения и Балканистики АН СССР), 1971.
Иллич-Свитыч 1976: Иллич-Свитыч В. М., Опыт сравнения Ностратических языков (Семитохамитский, картвельский, индоевропейский, уральский, дравидийский, алтайский); т. II. Словарь (l-ʒ́), М., «Наука», т. I (Инст. славяноведения и Балканистики АН СССР), 1976.
Чухуа 2021: Чухуа М., Грузинско-черкесско-абхазский этимологический словарь, Тбилиси, 2021.